PDF-XChange Viewer
Click to buy NOW!
www.docu-track.com

ხელშეკრულება # 1118
(სამართლებრივი დახმარების თაობაზე)

ასპინძა

1 თებერვალი 2013 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ასპინძის მუნიციპალიტეტის [illegible] ------ საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----[illegible]---------- სახით ერთის მხრივ და შპს - „განათლების ექსპერტი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გაბელიას სახით მეორეს მხრივ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სამართლებრივი დახმარების გაწევა (CPV: 79100000) და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო წლიური ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.
2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი დახმარების ღირებულება თვეში შეადგენს 100 (ასი) ლარს.
3. მომსახურების გაწევა დასტურდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
4. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვამდე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 1 თებერვლიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. შემსყიდველი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები მიმწოდებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების და ნოვაციების გაცნობა;

2.2. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი ხელშეწყობა;

2.3. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

2.4. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა.

2.5. განახორციელოს შემსყიდველთან სამართლებრივი მომსახურების გაწევის მიზნით, კვირაში არანაკლებ ერთი ვიზიტი.

2.6. სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების, მათ შორის სატენდერო კომისიის ოქმების პროექტების მომზადებასა და შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ოპერირებას;

2.7 პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ტექნიკური და საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვისას კონსულტაციის გაწევას;

2.8 გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას;

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

PDF-XChange Viewer Click to buy NOW! www.docu-track.com

3.1. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დრ[illegible]ლი [illegible]არისხიანი შესრულება;

3.2. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან სასამართლოში წარმომადგენლობა კანონმდებლობით დ[illegible]ილი წესით.

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიწოდებელი:**
ასპინძის მუნიციპალიტეტის [illegible]	შპს - „განათლების ექსპერტი“
მის.ასპინძა [illegible]	საბანკო რეკვიზიტები:
ტელ. 595587842	„თიბისი ბანკი“ მთაწმინდის ფ-ლი
ს/კ 223104281	№ 400071596
საბანკო რეკვიზიტები:	ბანკის კოდი TBCBGE22
ს/ს" ლიბერთი ბანკი"	GE49TB7232536080100003
ბანკის კოდი LBRTGE22	დირექტორი
ა/ნ GE30LB0121194048780 00	გიორგი ტაბელია
დირექტორი [illegible]	
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)